განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების

რეფორმების სტრატეგია

2010-2015

შინაარსი

4 სასკოლო ატესტატის მნიშვნელობის გაზრდა

5 ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა

7 მოსწავლეთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმების დახვეწა

8 სასკოლო სახელმძღვანელოები

9 კომპიუტერის და ინგლისური ენის სწავლება პირველი კლასიდან

10 ინკლუზიური განათლება

11 განათლების ხელმისაწვდომობა არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის

12 უცხოეთის საკვირაო სკოლების მოსწავლეების საქართველოს ერთიან საგანამანათლებლო სივრცეში ჩართვა

13 მოსწავლეთა თვითმმართველობების შექმნა და პოლიტიკური კულტურის სწავლება

13 შიდა და საერთაშორისო ოლიმპიადების წახალისება

14 ოქროსა და ვერცხლის მედლების პროგრამის ხელშეწყობის გაძლიერება

14 სკოლებში პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერება

15 სკოლებში კონკურსების ორგანიზება

15 სკოლებისა და მუზეუმების ერთობლივი პროგრამები

16 მოსწავლეთა საზღვარგარეთ სწავლების წახალისება

16 მეთორმეტე კლასის მოსწავლეებისთვის აბიტურის პროგრამის დანერგვა

16 პროექტ „წიგნის მეგობრების“ განხორციელება

17 მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლება და სერტიფიცირება

18 მენტორ-მასწავლებლების ინსტიტუტი

18 მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსი

19 მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრების შექმნა

19 დირექტორებისა და მასწავლებლების ხელფასების ზრდა

20 1000 ინგლისურენოვანი მასწავლებელი

21 სკოლების ავტორიზაცია და აკრედიტაცია

22 ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

24 მაპროფილებელი სპეციალიზებული სკოლების შექმნა

24 სკოლის ატესტატების აღიარება საერთაშორისო სივრცეში

25 უსაფრთხო სკოლის კონცეფციის განვითარება და დანერგვა

26 ჯანსაღი სკოლის კონცეფცია

27 სკოლებს შორის კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა – ბრენდირება

28 პროგრამა „ალუმნაი“

28 2011 წელს სკოლების ინტერნეტიზაციის პროცესის დასრულება

29 სკოლების მიერ ექსტერნატის გამოცდების ჩატარება

29 მონიტორინგის კომისიების შექმნა

30 მონაცემთა ბაზა

31 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა

32 კერძო სკოლების წახალისება და კონტროლის გაზრდა სამინისტროს მიერ

32 რესურს-ცენტრების გაძლიერება

33 ინგლისური ენის საზაფხულო სკოლების ორგანიზება

33 ელექტრონული ჟურნალები

34 სკოლების დაძმობილება

34 ადგილობრივი თვითმმართველობების აქტიური ჩართვა განათლების პროცესში

35 გამჭვირვალობა და საზოგადოების ჩართულობა განათლების რეფორმის პროცესში

35 საკომუნიკაციო პორტალების შექმნა და ამუშავება

36 განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნა (სსიპ)

„წარმატებული და ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს საყრდენს განათლებული საზოგადოება წარმოადგენს. სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი სწორედ მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა და, შესაბამისად, ქვეყნის მომავალში რესურსების ინვესტირებაა“.

დიმიტრი შაშკინი
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

წარმატებული და ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს საყრდენს განათლებული საზოგადოება წარმოადგენს. სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი სწორედ მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა და, შესაბამისად, ქვეყნის მომავალში რესურსების ინვესტირებაა. ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობამ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და მრავალი ინიციატივა განახორციელა. ერთიანი ეროვნული გამოცდები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად არის აღიარებული ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. უკვე მეხუთე წელია, რაც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტები მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ცოდნით, ყოველგვარი კორუფციის გარეშე აბარებენ. გამოცდების ამ სისტემას საზოგადოების დიდი მხარდაჭერა აქვს. ამასთანავე, სწრაფი ტემპით დაიწყო სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარება. სკოლები უზრუნველყოფილია გათბობისა და განათების სისტემებით, აქტიურად მიმდინარეობს კომპიუტერიზაციის პროცესი, რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პედაგოგთა სოციალური პირობები: გაიზარდა ხელფასები, მოხდა მათი უზრუნველყოფა სამედიცინო დაზღვევით. სკოლებში სამეურვეო საბჭოების შექმნის გზით, საზოგადოება აქტიურად ჩაერთო სასკოლო განათლების მართვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ზემოთ აღნიშნულმა მიღწევებმა საშუალება მოგვცა, ზოგადი განათლების რეფორმის მეორე ეტაპზე გადავსულიყავით, რის შედეგადაც 2015 წელს ზოგადი განათლების სრულყოფილ სისტემას მივიღებთ. დღეს ახალი გამოწვევების წინაშე ვდგავართ, რაც საჭიროებს ისეთი რეფორმების გატარებას, როგორიცაა:

სასკოლო ატესტატის მნიშვნელობის გაზრდა

ხშირია შემთხვევები, როდესაც სკოლის, განსაკუთრებით, მესამე საფეხურის, მოსწავლეები გაკვეთილებს არ ესწრებიან და რეპეტიტორებთან ოთხ საგანში ემზადებიან. ეს მიუღებელია. ბავშვმა სკოლაში უნდა მიიღოს ზოგადი განათლება. ამიტომ ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ სასკოლო ატესტატს, რომელიც მოსწავლეს ძირითად საგნებში მინიმალური კომპეტენციის დადასტურების შედეგად მიეცემა. მოსწავლე, რომელიც სკოლას დაამთავრებს, ავტომატურად მიიღებს სკოლის დამთავრების დამადასტურებელ საბუთს (სერტიფიკატს), რომლითაც ის პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას ან მუშაობის დაწყებას შეძლებს. თუმცა, თუ მოსწავლეს სურვილი ექნება, მიიღოს ატესტატი და სწავლა უმაღლეს სასწავლებელში განაგრძოს, მას საგამოცდო ცენტრებში მოუწევს მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, უცხო ენა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ისტორია, გეოგრაფია.

ამით, ერთი მხრივ, მოსწავლე სკოლას დაუბრუნდება, ხოლო, მეორე მხრივ, მისი ზოგადი განათლების ხარისხი ამაღლდება.

თუ მოსწავლე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ვერ გადალახავს, მას ეძლევა უფლება, მომდევნო წლებში კვლავ გავიდეს გამოცდებზე. ატესტატის მიღების ახალი წესი შეეხება იმ მოსწავლეებს, რომლებიც სკოლას დაამთავრებენ 2011 წელს და მომდევნო წლებში.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა

2010 წლის სექტემბერში დასრულდება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შექმნა, რომელიც 2011 წლიდან ამოქმედდება დაუცვლელი იქნება მომდევნო ხუთი წლის მანძილზე. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, საქართველოს ისტორიაში პირველად, 60%-იან აუცილებელ კომპონენტს შეიცავს, რაც საშუალებას მოგვცემს, სასწავლო პროცესის სტაბილურობა უზრუნველვყოთ. მასწავლებელს შეეძლება, უფრო სრულად გამოავლინოს თავისი შემოქმედებითი უნარი და 40%-ის ფარგლებში განავითაროს სასწავლო პროგრამა.



ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელება ეტაპობრივად მოხდება იმისათვის, რომ არ დაზიანდეს როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის ინტერესები.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ამოქმედებისას, საჯარო სკოლების პირველი კლასიდან ინგლისური ენის სწავლება სავალდებულო გახდება.

დახვეწილი ეროვნული სასწავლო გეგმა გაითვალისწინებს ისეთ ახალ საგნებს, როგორებიცაა: საინფორმაციო ტექნოლოგიები (კომპიუტერის საბაზისო ცოდნა) და სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება. აგრეთვე, შესაბამის საგნებში ინტეგრირებული იქნება მსოფლიო კულტურის ისტორიის საკითხები.

ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს ჩაანაცვლებს სპორტის გაკვეთილები. სასკოლო და რეგიონული სპორტული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, სკოლა ყურადღებას გაამახვილებს სპორტის ერთ-ერთი სახეობის განვითარებაზე; შეიქმნება სასკოლო ლიგები სპორტის სხვადასხვა სახეობაში; გაიმართება მრავალი სპორტული შეჯიბრი, რაც პოზიტიურად აისახება მოსწავლეთა ფიზიკურ განვითარებაზე.

2010 წლის 15 აპრილიდან 50 საჯარო სკოლაში დაიწყო ახალი სასწავლო კურსების პილოტირება, რათა 2010-2011 სასწავლო წლებში ყველა საჯარო სკოლაში დაინერგოს ყველა ზემოთ აღნიშნული ახალი საგნები.

მოსწავლეთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმების დახვეწა

ახალი 2010-2011 სასწავლო წლიდან დარეგულირდება და დაიხვეწება მოსწავლის ცოდნის შეფასების კომპონენტები. ეს იმისთვის კეთდება, რომ მასწავლებელს უფრო გაუადვილდეს მოსწავლის ცოდნის შეფასება, ხოლო მოსწავლისთვის უფრო გამჭვირვალე გახდეს მისი ცოდნის შეფასების პროცესი.

2010-2011 სასწავლო წლიდან საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებში მოსწავლის შეფასების ახალი სისტემა დაინერგება. ის შედგება 3 სავალდებულო კომპონენტისგან და მას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ადგენს, გარდა ამისა, ტრიმესტრულ ნიშანზე ზეგავლენას მოახდენს მოსწავლის დასწრება.

სასკოლო სახელმძღვანელოები

ბავშვის ინტერესებისა და ექიმისა და ფსიქოლოგის რეკომენდაციების გათვალისწინებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სასკოლო სახელმძღვანელოებისთვის დაადგინა ერთიანი ტექნიკური სტანდარტები (ზომა, წონა, შრიფტი და ა.შ.) და გაამკაცრა სახელმძღვანელოს გრიფირების წესი. ამასთანავე, სამინისტრო მუდმივ მონიტორინგს განახორციელებს, რათა სკოლებმა არაგრიფირებული სახელმძღვანელოები არ გამოიყენონ.

ახალი სასწავლო წლიდან სახელმწიფო სოციალურად დაუცველ ყველა მოსწავლეს განურჩევლად კლასისა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფს.

სახელმწიფო გააკონტროლებს, რომ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა და სახელმძღვანელოები უცვლელი იყოს ხუთი წლის განმავლობაში. შეიქმნება მეორადი სახელმძღვანელოების ბაზარი და სოციალურად დაუცველ ყველა მოსწავლეს შესაძლებლობა ექნება, ისარგებლოს ამ წიგნებით და დაბრკოლების გარეშე მიიღოს ზოგადი განათლება.

ახალ სასწავლო წელს ყველა სკოლაში შევა ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო, სახელწოდებით, „რუსული ოკუპაციის 200 წელი“, რაც მოსწავლეებს ხელს შეუწყობს, უკეთ შეისწავლონ საქართველოს ისტორია.

კომპიუტერის და ინგილსური ენის სწავლება პირველი კლასიდან

იმისთვის, რომ გაძლიერდეს ინგლისური ენის შესწავლა, იმისთვის, რომ სასწავლო პროცესი გახდეს უფრო საინტერესო და დანერგოს სკოლებში ინოვაციური ტექნოლოგიები, 2010 წლის სექტემბრიდან განათლების და მეცნიერების სამინისტრო იწყებს პროექტის პილოტირებას, რომელიც შეეხება ბათუმის, ზუგდიდისა და წეროვანის ყველა სკოლას და სამ-სამ სკოლას თბილისსა და ქუთაისში. ამ სკოლების ყველა პირველკლასელს სექტემბერში წიგნებთან ერთად დაურიგდებათ ნეტბუქები, სადაც ჩატვირთული იქნება სპეციალური სასწავლო პროგრამები, სახელმძღვანელოები და ბავშვები დაიწყებენ ამ სასწავლო პროგრამების აქტიურად გამოყენებას, რათა ინოვაციური ტექნოლოგიების მეშვეობით სწავლის პროცესი უფრო საინტერესო გახდეს. პარალელურად, ისინი შეისწავლიან ინგლისურ ენასაც, რომელიც 2011 წლიდან ყველა პირველი კლასისთვის იქნება სავალდებულო.

ინკლუზიური განათლება

ნებაყოფლობითი რეგისტრაციის საფუძველზე, შეიქმნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა მონაცემების ბაზა. შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების, სპეციალური პროგრამების შექმნისა და მასწავლებელთა გადამზადების მეშვეობით, მოხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა ინტეგრაცია ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში.

საზოგადოებას სხვადასხვა საშუალებით მიეწოდება ინფორმაცია ინკლუზიური განათლების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა ინტეგრაციას საზოგადოებაში.

სპეციალური მულტიდისციპლინური გუნდები განახორციელებენ მოსწავლეთა საჭიროებების შეფასებას და ხელს შეუწყობენ მასწავლებლებს ინკლუზიური განათლების პროცესში.

განათლების ხელმისაწვდომობა არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის

ქვეყნის ყველა მოქალაქე, განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა, საზოგადოების სრულფასოვანი წევრი უნდა იყოს. ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული ენის შესწავლის პროგრამებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

ქართული ენის სწავლების მიზნით, ქვეყნის მასშტაბით, ქართული ენის სახლები გაიხსნა.

2010 წლის მაისიდან ფუნქციონირებას დაიწყებს ჟვანიას სახელობის განახლებული სკოლა ქუთაისში, რომელიც ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას საზოგადოებაში.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს წელს პირველად ექნებათ საშუალება, ისარგებლონ სპეციალური ლგოტებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებისას. ეს მათ ქართული ენის შესასწავლად წაახალისებს და, ამავდროულად, საზოგადოებაში მათ სრულ ინტეგრაციასაც შეუწყობს ხელს.

საქართველოს მთავრობა მომავალშიც გააგრძელებს საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოების ეთნიკური უმცირესობების ენებზე თარგმნისა და უსასყიდლოდ გავრცელების უზრუნველყოფას.

უცხოეთის საკვირაო სკოლების მოსწავლეების საქართველოს ერთიან საგანამანათლებლო სივრცეში ჩართვა

საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი ბავშვებისთვის შეიქმნება ერთიანი სასწავლო გეგმა, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოყვანილი საქართველოში მოქმედ სკოლებთან. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საზღვარგარეთ მცხოვრები ბავშვების სასწავლო წიგნებისთვის გამოყოფს თანხებს, რათა საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში, ადვილად მოხდეს მათი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება.

საზღვარგარეთ არსებული საკვირაო სკოლებისთვის ერთიანი სასწავლო პროგრამის შემუშავებით, ქართველი ბავშვები უცხოეთში საკუთარ ენასა და თვითმყოფადობას შეინარჩუნებენ.

მოსწავლეთა თვითმმართველობების შექმნა და პოლიტიკური კულტურის სწავლება

სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფისა და სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლების მიზნით, მოსწავლეთა თვითმმართველობები შეიქმნება. მოსწავლეებს შეეძლებათ, აირჩიონ კლასის, სკოლის პრეზიდენტები, რომლებიც სასწავლო პროცესის შესახებ მათ აზრსა და ინიციატივებს სკოლის ადმინისტრაციასა და სამეურვეო საბჭოს გააცნობენ. ეს კი, თავის მხრივ, დაეხმარება მოსწავლეებს, უკეთ გააცნობიერონ თავიანთი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა.

შიდა და საერთაშორისო ოლიმპიადების წახალისება

ზოგადი განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კვლავ ჩატარდება ეროვნული საგნობრივი ოლიმპიადები. გარდა ამისა, საქართველოს მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონკურსებსა და ოლიმპიადებში.

ოლიმპიადების პოპულარობის გაზრდის მიზნით, იგეგმება საერთაშორისო ოლიმპიადების საქართველოში ჩატარება.

ოქროსა და ვერცხლის მედლების პროგრამის ხელშეწყობის გაძლიერება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრების წახალისებას, მე-12 კლასის დასრულებისას, ოქროსა და ვერცხლის მედლების გადაცემით იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც სკოლას წარჩინებით დაამთავრებენ.

სკოლებში პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერება

განათლების და მეცნიერების სამინისტრო მაქსიმალურად შეუწყობს ხელს პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებას სკოლებში. ამ მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება საქართველოს უახლესი ისტორიის შესწავლას, განხორციელდება სხვადასხვა სასწავლო პროგრამები, მოეწყობა კონკურსები პატრიოტულ თემებზე.

ასევე განათლების და მეცნიერების სამინისტრო ხელს შეუწუყობს თავდაცვის სამინისტროს კადეტთა კორპუსის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

სკოლებში კონკურსების ორგანიზება

სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნების, სწავლისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებისა და მათი წახალისების მიზნით, სკოლებში მუდმივად განხორციელდება სხვადასხვა კონკურსი განსხვავებულ თემებზე. მნიშვნელოვანია, რომ კონკურსებში სკოლების მონაწილეობა და მათში მოსწავლეთა ჩართულობა სკოლების ბრენდირებისას ერთ-ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმი იქნება.

სკოლებისა და მუზეუმების ერთობლივი პროგრამები

საქართველოს ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის უკეთ გაცნობის მიზნით, სკოლებსა და მუზეუმებს შორის ერთობლივი პროგრამები განხორციელდება. მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, ხშირად ესტუმრონ სხვადასხვა მუზეუმს. ასევე, გაიმართება თემატური გაკვეთილები, რომლებიც სასწავლო პროცესის ნაწილი იქნება. მსგავსი პროგრამების განხორციელება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მსოფლიო კულტურის ისტორიის საკითხების შესაბამის საგნებში ინტეგრირების პროცესში.

მოსწავლეთა საზღვარგარეთ სწავლების წახალისება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სხვადასხვა პროგრამის მეშვეობით, მოსწავლეთა გაცვლით პროგრამებში ჩართვას უზრუნველყოფს. ეს ხელს შეუწყობს საქართველოს სკოლების მოსწავლეებსა და ევროპისა და ამერიკის სკოლების მოსწავლეებს შორის ურთიერთობების დამყარებას. ამ პროცესის გამჭვირვალედ და ეფექტურად წარმართვის მიზნით, ინფორმაცია საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობების შესახებ განთავსებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე.

მეთორმეტე კლასის მოსწავლეებისთვის აბიტურის პროგრამის დანერგვა

როგორც ევროპის მრავალ ქვეყანაში, საქართველოშიც საჯარო სკოლების მე-12 კლასის მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, ე.წ. აბიტურის კურსი გაიარონ. ის, პრაქტიკულად, კიდევ ერთხელ მოამზადებს მათ სასკოლო ატესტატის მისაღებად.

პროექტ „წიგნის მეგობრების“ განხორციელება

წიგნთან მოსწავლეთა დაახლოების მიზნით, წარმატებული ადამიანების მიერ (მეცნიერები, მწერლები, პოლიტიკოსები და სხვა) სკოლებში განხორციელდება ლიტერატურული ნაწარმოებების საჯარო კითხვა და სხვა ღონისძიებები.

მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლება და სერტიფიცირება

იმისთვის, რომ საქართველოში ხელი შევუწყოთ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, 2010 წლის ივლისიდან დაიწყება მასწავლებლების ნებაყოფლობითი სერტიფიცირება, რომელიც 2014 წლამდე გაგრძელდება. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, 2014 წლიდან ყველა პედაგოგი, რომელიც სკოლაში იმუშავებს, ვალდებული იქნება, იყოს სერტიფიცირებული.

2010 წლის თებერვალში ჩატარებულმა პრეტესტმა, რომელშიც 2400-მდე პედაგოგმა მიიღო მონაწილეობა, კიდევ ერთხელ დაადასტურა ამ პროცესის მნიშვნელობა და პედაგოგთა მზაობა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პედაგოგებს გადასცემს 160 ლარის ღირებულების, ორი სახის ვაუჩერს (ერთს – პროფესიული უნარ-ჩვევების და მეორეს – უშუალოდ საგნისათვის), რომლითაც მასწავლებლები სპეციალური ტრენინგის გავლას შეძლებენ მათ მიერ შერჩეულ ორგანიზაციაში და განათლების და მეცნიერების სამინისტროს ტრენინგ-ცენტრებში.

სერტიფიცირების პროცესის მხარდასაჭერად და სერტიფიცირებული მასწავლებლების წასახალისებლად, ყველა სერტიფიცირებულ მასწავლებელს ხელფასი გაეზრდება.

მენტორ-მასწავლებლების ინსტიტუტი

მასწავლებელთა ახალი თაობის მოსამზადებლად 2010 წლის სექტემბრიდან მენტორ-მასწავლებელთა ინსტიტუტი ამოქმედდება. ამაში იგულისხმება გამოცდილი პედაგოგების მიერ მასწავლებლობის მაძიებელთა (პრაქტიკანტთა) მომზადება, რაც დამატებითი ფინანსური სტიმულირების მექანიზმს წარმოადგენს. ამ პროცესის წარმატებით განხორციელება ხელს შეუწყობს მომავალი კადრების მაღალ პროფესიონალიზმს.

მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსი

2010 წლის მაისისთვის მიღებული იქნება და ამოქმედდება მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, რომელიც დაარეგულირებს ურთიერთობებს, ერთი მხრივ, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, მასწავლებელსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის.

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრების შექმნა

2011 წლიდან ქუთაისში, ბათუმსა და თბილისში გაიხსნება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრები, რომლებშიც პედაგოგები გაეცნობიან სწავლების თანამედროვე მეთოდებს, აიმაღლებენ ცოდნას საკუთარ საგანში და განივითარებენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს.

დირექტორებისა და მასწავლებლების ხელფასების ზრდა

საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პედაგოგთა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სერტიფიცირებულ პედაგოგებს მომავალში ხელფასი გაეზრდებათ.

მენტორ-მასწავლებლის სახელფასო დანამატი 160 ლარი იქნება. 2010 წლის აპრილიდან დირექტორის მინიმალური ხელფასი 300 ლარით განისაზღვრა.

1000 ინგლისურენოვანი მასწავლებელი

პროექტის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ მთავარი მიზანი საქართველოში იმ 1000 ინგლისურენოვანი უცხოელი მასწავლებლის მოწვევაა, რომლებიც საქართველოს სკოლების მოსწავლეებს ინგლისური ენის შესწავლაში დაეხმარებიან. მოხალისეები საქართველოს სკოლების მასწავლებლებთან ერთად იმუშავებენ და მოსწავლეებს ინგლისური ენის შესწავლაში შეუწყობენ ხელს, მასწავლებლებს კი – კვალიფიკაციის ამაღლებაში. თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით, ინგლისური ენის შესწავლის მრავალი ხერხი არსებობს. ჩვენ ამ ტექნოლოგიების დანერგვისაკენ მივისწრაფვით, მაგრამ, ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ ადამიანური ფაქტორი და პირადი კონტაქტი შეუცვლელია. აღნიშნული ფორმით სასწავლო გარემოს შექმნა გაცილებით ეფექტურია, ვიდრე კომუნიკაციის სხვა საშუალებებით.

ინფორმაციის, გამოცდილებისა და კულტურის გაზიარებით, საქართველო არა მხოლოდ მნიშვნელოვან კავშირებს დაამყარებს სხვადასხვა ქვეყანასთან, არამედ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობას გააღრმავებს და მოსწავლეებს საზღვარგარეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების მეტ შესაძლებლობას მისცემს.

მოხალისე მასწავლებლები ინგლისური ენის ქართველ პედაგოგებთან ერთად მოსწავლეებს ინგლისურენოვან სასწავლო გარემოს შეუქმნიან.

სკოლების ავტორიზაცია და აკრედიტაცია

2015 წლამდე ქვეყანაში არსებული ყველა საჯარო და კერძო სკოლის ავტორიზაცია მოხდება. ავტორიზაციის არსი შემდეგში მდგომარეობს: ყველა საჯარო და კერძო სკოლა განათლების მაღალ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს, ამისათვის კი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სკოლებს შორის მოხდება შეთანხმება და ხუთწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, ერთი მხრივ, სამინისტრო და მეორე მხრივ, კერძო და საჯარო სკოლები ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებას უზრუნველყოფენ. შედეგად, 2015 წლისთვის ყველა საჯარო და კერძო სკოლა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად იფუნქციონირებს.

აკრედიტებული სკოლების ატესტატის აღიარება მოხდება სამინისტროს მიერ, მინიმალური კომპეტენციის გამოცდების ჩაბარების გარეშე.

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სკოლის ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მათ შევსებას სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო მასალით.

სკოლების სასადილოები, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მსხვილ კერძო კომპანიებს გადაეცემა, რომლებიც ვალდებულებას იკისრებენ, შექმნან სამინისტროს მიერ მოწვეული ექსპერტების მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა. სამინისტროს მხრიდან მკაცრად გაკონტროლდება კვების სტანდარტები. მოსწავლეები სასადილოებში საკრედიტო ბარათებით ისარგებლებენ. 2010 წლის მაისიდან ამ პროგრამის პილოტირება სხვადასხვა სკოლაში დაიწყება.

გაუმჯობესდება სკოლის ლაბორატორიები, რომლებიც შესაბამისი ინვენტარით აღიჭურვება. გარდა ამისა, საბუნებისმეტყვე-

ლო მეცნიერებების უკეთ სწავ-
ლების მიზნით, მასწავლებ-
ლებს საშუალება ექნებათ,
ისარგებლონ ვირტუალური
ლაბორატორიებით. ამ ინი-
ციატივის დანერგვა 2010
წლის აპრილიდან დაიწ-
ყო.

ადგილობრივი თვითმმარ-
თველობების ხელშეწყობით,
თანამედროვე სტანდარტე-
ბის შესაბამისად მოეწყობა
სპორტული მოედნები და დარ-
ბაზები.

მცირეკონტინგენტიანი სკოლების დახ-
მარების მიზნით, თითოეულ ასეთ სკოლას
სამინისტრო მიზნობრივ ვაუჩერს გადასცემს,
რომლითაც შესაძლებელი იქნება მოხმარებული ელექტროენერგიის დავალიანების დაფარვა და გასათბობი საშუალებების (ბუნებრივი აირი, შეშა, ნახშირი, დიზელი და ა.შ.) შეძენა. ეს უზრუნ-
ველყოფს სკოლაში არსებული პრობლემების აღმოფხვრასა და სასწავლო პირობების გაუმჯობე-
სებას.

მაპროფილებელი სპეციალიზებული სკოლების შექმნა

ცალკეული მიმართულებების გასავითარებლად, იქმნება სპეციალური მაპროფილებელი სკოლები, რომლებშიც გაძლიერებული სწავლება განხორციელდება. ასეთი სკოლები განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვებს ცოდნის გაღრმავებაში დაეხმარება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და უცხო ენების გაძლიერებულ შესწავლას.

სკოლის ატესტატების აღიარება საერთაშორისო სივრცეში

2011 წლიდან ქვეყნის საჯარო და კერძო სკოლის ატესტატის საერთაშორისო სივრცეში აღიარება მოხდება.

უსაფრთხო სკოლის კონცეფციის განვითარება და დანერგვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2010-2011 სასწავლო წლის დაწყებამდე უსაფრთხო სკოლის კონცეფციასა და მისი დანერგვის გეგმას ჩამოაყალიბებს, რომელიც შემდეგ საკითხებს ითვალისწინებს: სკოლის მანდატურის ინსტიტუტის შექმნა, ე.წ. უსაფრთხო ზონების განვითარება, ნაღდი ფულის ბრუნვის აკრძალვა სკოლებში, მოსწავლეთა საკრედიტო ბარათის სისტემის დანერგვა და ამოქმედება. მანდატურის ინსტიტუტის პილოტირება 2010 წლის აპრილიდან თბილისის 7 სკოლაში დაიწყო. მანდატურები სპეციალურად შექმნილი კურიკულუმებით მომზადდებიან.

ადამიანის უფლებების უკეთ გაცნობისა და სამართლებრივი კულტურის ამაღლების მიზნით, მუდმივად გაიმართება შეხვედრები პროკურატურის, იურიდიული დახმარების სამსახურისა და პოლიციის წარმომადგენლებთან.

ჯანსაღი სკოლის კონცეფცია

სკოლებში გაძლიერდება და განვითარდება ფსიქოლოგის ინსტიტუტი, რაც მოსწავლეთა შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგები მოსწავლეებს ფსიქოლოგიურ დახმარებასაც აღმოუჩენენ.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, შეიქმნება სპეციალური პროგრამები ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის.

სკოლებს შორის კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა – ბრენდირება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, მოხდება სკოლების შეფასება, ე.წ. ბრენდირება, 10-ვარსკვლავიანი სისტემის მიხედვით. ვარსკვლავის მისაღებად მათ გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილება მოუწევთ. კრიტერიუმებში გათვალისწინებული იქნება ისეთი საკითხები, როგორებიცაა სკოლის ჩართულობა სხვადასხვა სახის პროგრამებში, ოლიმპიადებში, წარმატებული მოსწავლეებისა და მასწავლებლების რაოდენობა, სერტიფიცირებულ მასწავლებელთა რაოდენობა, მენტორ-მასწავლებელთა რაოდენობა და სწავლების ხარისხზე ორიენტირებული სხვა კომპონენტები.

პროგრამა „ალუმნაი“

პროგრამა „ალუმნაი“ წარმატებით ხორციელდება როგორც დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ის მიზნად ისახავს საზოგადოების აქტიურ ჩართვას სასკოლო განათლების პროცესში.

პროგრამა „ალუმნაი“ საშუალებას აძლევს ყველა მსურველს, გამოხატოს თავისი დამოკიდებულება სკოლის მიმართ და წვლილი შეიტანოს მის განვითარებასა და წარმატებაში.

აღსანიშნავია, რომ საჯარო მოხელეები აქტიურად გამოეხმაურნენ საქართველოს პრეზიდენტის შეთავაზებას და აღნიშნულ პროგრამაში ჩაერთნენ. ამ ინიციატივას აქტიურად გამოეხმაურა აგრეთვე საზოგადოების დიდი ნაწილი, რაც პროგრამის წარმატებით განხორციელების საწინდარია.

2011 წელს სკოლების ინტერნეტიზაციის პროცესის დასრულება

2011 წლისთვის საქართველოს ყველა საჯარო სკოლა ინტერნეტით უზრუნველყოფილი იქნება და ერთიან სისტემაში ჩაერთვება. ეს, ერთი მხრივ, სკოლებს, რესურს-ცენტრებსა და სამინისტროს შორის კომუნიკაციას გააიოლებს, მეორე მხრივ კი, ზოგადი განათლების ხარისხს გააუმჯობესებს. მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია სხვადასხვა საკითხზე. ამავდროულად, მასწავლებლები შეძლებენ, გამოიყენონ სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები.

სკოლების მიერ ექსტერნატის გამოცდების ჩატარება

2010 სასწავლო წლიდან, ექსტერნატის გამოცდებს სკოლები და რესურს-ცენტრები ჩაატარებენ განათლების და მეცნიერების სამინისტროს მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ.

მონიტორინგის კომისიების შექმნა

2010 წლის 1 აპრილიდან შეიქმნება და ამოქმედდება სკოლების მონიტორინგის კომისიები, რომელშიც შევლენ სამინისტროს ადმინისტრაციის, ეკონომიკური დეპარტამენტისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის თანამშრომლები.

კომისია გააკონტროლებს:

- მოსწავლეთა დასწრებას;
- მასწავლებელთა გამოცხადებას;
- გაკვეთილის მიმდინარეობისას დასწრებას;
- ჟურნალების წარმოებას;
- სკოლების საქმის წარმოებას;
- მატერიალური ბაზის მდგომარეობას;
- დისციპლინას და სხვა.

მონაცემთა ბაზა

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფარგლებში, 2010 წლის აგვისტომდე შეიქმნება სამინისტროსთვის საჭირო საბაზისო მონაცემთა ელექტრონული ბაზა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. ბაზაში აღი-რიცხება:

- მოსწავლეთა საბაზისო ინფორმაცია (პირადი ნომრებით, რომლებიც დაკავშირებული იქნება სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზასთან);
- სკოლების, რესურს-ცენტრების, სამეურვეო საბჭოების, დირექტორებისა და დირექტორის მოადგილეების ელექტრონული ცნობარები.

2012 წლამდე, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფარგლებში, შეიქმნება მოსწავლეთა საინფორმაციო სისტემის პროგრამა, რომელშიც შევა:

- ყველა მოსწავლის შესახებ დეტალური ინფორმაცია (1-დან მე-12 კლასამდე), აგრეთვე მოსწავლის ისტორია (მოძრაობა სკოლებში, ექსტერნატი და ა.შ.), რომელიც ერთ ბარათზე იქნება აღრიცხული;

- მოსწავლის დასწრების, ნიშნებისა და სხვა მიღწევების ელექტრონული აღრიცხვა;
- ელექტრონული ჟურნალები.

სწავლის დასრულების შემდეგ მოსწავლის ბარათი ავტომატურად გადაეცემა გამოცდების ეროვნულ ცენტრს, რაც მოსწავლეთა ხელახალი რეგისტრაციის საჭიროებას გამორიცხავს.

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გააგრძელებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფას. არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულებისა და ქალთა და არასრულწლოვანთა მე-5 საპყრობილის, ასევე, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულების საკლასო ოთახებში სასწავლო პროცესს 123-ე სკოლის 20 პედაგოგი გაუძღვება. აღსანიშნავია, რომ სკოლის დასრულების შემდეგ არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ისეთივე ატესტატს მიიღებენ, როგორსაც ნებისმიერი მოსწავლე.

კერძო სკოლების წახალისება და კონტროლის გაზრდა სამინისტროს მიერ



2011 წლიდან ყველა კერძო სკოლამ საჯარო სკოლის ტერიტორია უნდა დატოვოს და ცალკე შენობაში განთავსდეს.

კერძო სკოლების მხარდაჭერის მიზნით, სამინისტრო შუამდგომლობით მიმართავს შესაბამის ორგანოებს მათთვის, შენობებისა თუ მიწის ფართობების კანონით დადგენილი წესითა და ფორმით გადაცემისას, შეღავათების გაწევასთან დაკავშირებით.

ამასთანავე, სამინისტრო უზრუნველყოფს კერძო სკოლების სასწავლო გეგმის ერთიან ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანას.

რესურს-ცენტრების გაძლიერება

გაუმჯობესდება საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების მატერიალური უზრუნველყოფა. მათი ეფექტური მუშაობისთვის გაიზრდება სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა, რაც ხელს შეუწყობს კოორდინაციას, ერთი მხრივ, სამინისტროსა და რესურს-ცენტრებს და, მეორე მხრივ, რესურს-ცენტრებსა და სკოლებს შორის. მათი თანამშრომლები გაივლიან სპეციალურ ტრენინგებს.

ინგლისური ენის საზაფხულო სკოლების ორგანიზება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველწლიურად ორგანიზებას გაუწევს ინგლისური ენის საზაფხულო სკოლებს, რაც ინგლისური ენის შესწავლის მიმართ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ინტერესს გაზრდის და ხელს შეუწყობს საზაფხულო სკოლებში ჩართულ მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. ასეთი პროგრამის განხორციელება მიზნად ისახავს საერთაშორისო ბაზარზე ქართული სკოლების კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გაზრდასა და ამავე ბაზარზე მათი ინტეგრირების ხელშეწყობას.

ელექტრონული ჟურნალები

2011 წლიდან ამოქმედდება ელექტრონული ჟურნალები, რომელთა მეშვეობითაც ყველა მშობელს ექნება საშუალება, თვალყური ადევნოს საკუთარი შვილის სკოლაში დასწრებასა და აკადემიურ მოსწრებას.

სკოლების დაძმობილება

დაძმობილების პროგრამა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში წარმატებით ხორციელდება. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში საქართველოც აქტიურად ჩაერთოს. ჩვენს სკოლებს საშუალება ექნებათ, დაამყარონ კონტაქტები და გაიზიარონ სხვა სახელმწიფოს სკოლების გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შორის ურთიერთობების დამყარებასა და გაცვლითი პროგრამების განხორციელებას.

ადგილობრივი თვითმმართველობების აქტიური ჩართვა განათლების პროცესში

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ადგილობრივ თვითმმართველობებთან ერთად იზრუნებს სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, რაც ხელს შეუწყობს სკოლებში არსებული პრობლემების სწრაფ და ეფექტურ მოგვარებას რაიონულ დონეზე.

ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობები აქტიურად ჩაერთვებიან სხვადასხვა ღონისძიების მოწყობასა და პედაგოგთა წახალისებაში.

გამჭვირვალობა და საზოგადოების ჩართულობა განათლების რეფორმის პროცესში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედებს საზოგადოებრივი დარბაზი, სადაც განათლების რეფორმით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს საშუალება აქვს, ერთი მხრივ, მიიღოს ინფორმაცია მიმდინარე პროცესზე და, მეორე მხრივ, წარმოადგინოს საკუთარი ინიციატივები, რეკომენდაციები და შენიშვნები სისტემის განვითარების შესახებ.

ამავე მიზნით, შეიქმნა მრჩეველთა საბჭო და არასამთავრობო ორგანიზაციათა კლუბიც.

საკომუნიკაციო პორტალების შექმნა და ამუშავება

2010 წლის 1 აპრილს ამუშავდა პირველი საკომუნიკაციო პორტალი
თბილისში. საკომუნიკაციო პორტალის საშუალებით, ნებისმიერი მოქალაქე შეძლებს, ვიდეო რეჟიმში (online video) დაუკავშირდეს სამინისტროს. ამ სერვისის ამოქმედებისთვის სამინისტროში შეიქმნა სპეციალური საინფორმაციო-სატელეფონო ცენტრი, რომელიც მოსახლეობას საშუალებას მისცემს, სამინისტროში მოსვლის გარეშე მიიღოს საჭირო ინფორმაცია.

პირველ ეტაპზე საკომუნიკაციო პორტალები ამოქმედდება ქუთაისში, რუსთავსა და ბათუმში.

განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნა (სსიპ)

ცენტრს დაევალება, მოახდინოს საგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლა, პროფესიული სასწავლებელი, უმაღლესი სასწავლებელი) ავტორიზაცია და აკრედიტაცია დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. აგრეთვე, აღნიშნული ცენტრის ფუნქცია იქნება საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ლეგალიზაცია, აპოსტილით დამოწმება და იდენტურობის დადგენა.

ცენტრი აგრეთვე განახორციელებს ქართული ენის სისწორეზე სხვადასხვა დოკუმენტის ექსპერტიზას.

© 2010, Designed by besik Danelia